ოქმი N 2

ცაგერის მუნიციპალიტეტის ჩქუმის თემის სოფელ ჩქუმის მოსახლეობის კრების.

18.11.2022წელი

კრებას ესწრებოდნენ ჩქუმის თემის სოფელ ჩქუმის მოსახლეობა 22 მონაწილის შემადგენლიობით. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბ. კოპალიანი. კრებას ასევე ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჩქუმის თემში ნ.მამარდაშვილი.

კრების თავჯდომარე: ნ.მამარდაშვილი
მდივანი : მ.დავითულიანი

კრების დღის წესრიგი:

1. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ სოფელ ჩქუმის მიმდებარედ 2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე.

მომხსენებელი: ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ. ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო სოფელ ჩქუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავს ორი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებას,ერთი არის 165 კვ.მ, ხოლო მეორე 2142 კვ.მ და თუ სოფელი არ არის წინააღმდეგი მერია გასცემს თანხმობას სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოახდინოს ამ ორი ნაკვეთის გასხვისება ელექტრონული აუქციონის წესით.

აზრი გამოთქვეს: დ. დავითულიანმა, ა.გვიშიანმა, ნ. ბენდელიანმა, გ.დავითულიანმა, მ.ლეთოდიანმა.

გამომსვლელებმა აღნიშნეს რომ ეს ნაკვეთები მდებარეობს მათი სოფლის სიახლოვეს ერთი მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარე ჯონოულის ნაპირთან, რომელსაც მოსახლეობა იყენებს საპიკნიკე ადგილად და გარკვეულწილად წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის დასვენების ადგილს ამიტომ მისი გაყიდვა არ შეიძლება. რაც შეეხება მეორე მიწის ნაკვეთს 2142 კვ.მ იგი წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის საძოვარს და მას სოფელი ვერ გაყიდის.

კრების ყველა მონაწილე დაეთანხმა გამოსვლელების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

კენჭისყრის შედეგად კრებაზე დამსწრე 22 პიროვნებიდან მიწის ნაკვეთის გასხვისების წინააღმდეგია აღმოჩნდა ოცდაორივე პიროვნება.

დაადგინეს: უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სოფელ ჩქუმის მიმდებარედ 2142 კვ.მ და 165 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებაზე.

კრების მინაწილეთა სახელობითი სია და ხელმოწერები ოქმს თან ერთვის.

კრების თავმჯდომარე: ნ. მამარდაშვილი ნ.მამარდაშვილი

მდივანი: მ. დავითულიანი მ.დავითულიანი

18.11.2022

სოფელი ჩქუმი